საქართველო, თბილისი, 1071 ქ.შარტავას N24
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ: ოფისი: +995 237 21 60
ელ.ფოსტა: info@hrn.ge
ვებ-გვერდი: www.hrn.ge

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

24 Shartava str. 3 th floor, apt. 6,
Tbilisi 1071 Georgia
Tel: office: +995 237 21 60
E-mail: info@hrn.ge
Web: www.hrn.ge

GF 4/2019

04.02.2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის პირველ მოადგილეს ბ-ნ ზაზა ბოხუას

წ ე რ ი ლ ი

ბატონო ზაზა,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის იანვრიდან ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა დაიწყო გლობალური ფონდის რეგიონული პროგრამის განხორციელება - „**მაღალი რისკის პოპულაციებისათვის სერვისების მდგრადობის უზრუნველყოფა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში**".

პროექტის განმახორციელებლები არიან:

- აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ორგანიზაციების კონსორციუმი (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსი, აივ/შიდსით დაავადებულთა უკრაინის ქსელი (All-Ukrainian Network of PLWH), აივ/შიდსით დაავადებულთა ცენტრალური აზიის ასოციაცია (Central Asian PLWHA Association) და მოწყვლადი პოპულაციების ჯანმრთელობის ევრაზიის ქსელი (Eurasian Key Populations Health Network)
- ტექნიკური პარტნიორები: ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანები (TB People), ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვას, ყაზახეთის, ყირგიზეთის, რუსეთის ფედერაციის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და უკრაინის პარტნიორები.

პროექტის მიზანია უზრუნველყოს გლობალური ფონდის გასვლის შემდეგ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აივ/შიდსის სერვისების მდგრადობა, საბიუჯეტო ადვოკაცია, მაღალი ხარისხის არვ მკურნალობის ადვოკატირება, სტიგმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა სერვისებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 5-8 თებერვალს საწყისი შეფასების (baseline assessment) მიზნით შედგება უკარაინის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ალიანსისა და აივ/შიდსით დაავადებულთა უკრაინის ქსელის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში პარტნიორებს სურთ შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან.

საქართველო, თბილისი, 1071 ქ.შარტავას N24
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ: ოფისი: +995 237 21 60
ელ.ფოსტა: info@hrn.ge
ვებ-გვერდი: www.hrn.ge

GHRN
ზიანის შემსუბუქების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

24 Shartava str. 3 th floor, apt. 6,
Tbilisi 1071 Georgia
Tel: office: +995 237 21 60
E-mail: info@hrn.ge
Web: www.hrn.ge

მოგმართავთ თხოვნით, მიმდინარე წლის 7 თებერვალს თქვენთვის მისაღებ დროს უზრუნველყოთ უკრაინელი პარტნიორებისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს შორის შეხვედრის ორგანიზება.

შეხვედრაზე განსახილველი საკითხებისთვის გთხოვთ იხილოთ პარტნიორების მიერ მოწოდებული კითხვარები შემდეგ ბმულზე:

Questionnaire on budget advocacy

https://goo.gl/forms/yyScVrjglJreNvwF3

Questionnaire on access to ARVs

https://goo.gl/forms/cKU2tSkhyaVoPxXK2

Questionnaire on human rights barriers

https://goo.gl/forms/7solfIVat3h0l7iS2

Questionnaire on 90-90-90 cascade assessment

https://goo.gl/forms/RploPKjv55gOS9Cc2

პატივისცემით,

კახა კვაშილავა

აღმასრულებელი დირექტორი